ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №g6

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 31 ივლისი, 2023 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის გიორგი კაკაურიძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი,“ წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის გიორგი ნიკოლაიშვილის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის, წერილი N1003682023 და N6001003823 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველმა“ მოლაპარაკების საფუძველზე, „მიმწოდებლისგან“ მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით 44425300 - კერძოდ: პროცესორის რეტორტის ხუფის რეზინის შეცვლის სახელმწიფო შესყიდვაზე, საერთო თანხით 1170.00 (ერთი ათას ას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს დანართი N1-ით განსაზღვრული საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.

4. დაფინანსების წყარო 2022 წლის 23 დეკემბერს გაფორმებული STEM – 22 – 2527 საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში.

5 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში, არაუგვიანეს 2023 წლის 29 სექტემბრისა.

6. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების დასრულებამდე, არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბრისა.

7. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი №1 - ფასების ცხრილი - რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ;

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	,,მიმწოდებელი"
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი“
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84	მის: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. N83.
ტელ: (995 32) 2 25 84 84	ტელ: 2 532 032
ელ.ფოსტა info@expertiza.gov.ge	ელ.ფსტა: m.nadimashvili@amts.ge
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მიმღები ბანკი: სს "საქართვეოს ბანკი"
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბანკის კოდი: BAGAGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა GE20BG0000000119160100
ს/კ 204852089	ს/კ 202059725

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
გიორგი კაკაურიძე

Giorgi Kakauridze 01005006546
Digitally signed by Giorgi Kakauridze
Date: 2023.07.31 11:37:22

დირექტორი
გიორგი ნიკოლაიშვილი

Advanced Medical Technologies and Service LTD
Digitally signed by Advanced Medical Technologies and Service LTD
Date: 2023.07.31 11:50:46 +04'00'

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებს და ნორმებს.

3. საპატენტო უფლებები

საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ინსპექტირების გზით განახორციელებს: სამედიცინო ექსპერტიზის დეპარტამენტის, ჰისტოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი ნანა კიკალიშვილი.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საქონლის ღირებულების დაფარვა შეტყობინებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში;

4.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

5. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

5.1 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. ქ. N84.

6. გარანტია

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის საქონელი და იგი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6.2 მიმწოდებელი თავისუფლდება 4.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან თუ ხარვეზის წარმოქმნა გამოწვეული იქნება შემსყიდველის მიზეზით.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი მიწოდებულად ჩაითვლება მიმწოდებლის მიერ, მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ. მიწოდებული საქონლის მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებენ: ეკონომიკური დეპარტამენტის, ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი პაპუნა აბულაძე ან/და ეკომომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ქეთევან დარბაიძე.

8. ანგარიშსწორება და დაფინანსების წყარო

8.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა);

8.2 საქონელი მიღებულად ჩაითვლება და ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, მიმწოდებლის მირ საგადახდო დოკუმენტის გამოწერის, ინპექტირების და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდგომ, არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ინსპექტირებისთვის საჭირო ვადები არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოწოდებული საქონელი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

9. ფასები

ერთეულის მიხედვით ხელშეკრულების ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 – ფასების ცხრილი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.6 ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებული არიან აცნობონ ერთმანეთს უფლებამოსილების ცვლილების შესახებ, ცვლილების განხორციელებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების

შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 ან ხელშეკრულების პრეამბულის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისათვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, რომლის დაქვითვაც მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან;

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების თანხის 0,05%-ის ოდენობით;

13.3 იმ შემთხვევაში, თუ მე-13 მუხლის 13.1 ან 13.2 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.4 სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს საჯარიმო თანხის გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-სი ოდენობით.

ა) ხელშეკრულების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, საჯარიმო თანხის გადახდა მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს, შემსყიდველის მიერ მიწოდებულ შესაბამის ანგარიშზე.

ბ) ხელშეკრულების ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, საჯარიმო თანხის დაქვითვა მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

(ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

(ბ) მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შემთხვევაში;

(გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების 14.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი

გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

დანართი N1

ფასების ცხრილი

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი	საერ. ფასი
1	Leica, მწარმოებელი გერმანია - პროცესორის რეტორტის ხუფის რეზინი 14047634172	1	1170	1170